



საქართველო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
საკრებულო



N 2
11/01/2018

2-07-4-201801111618



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება №2
2018 წლის 11 იანვარი
ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა
პროგრამების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილების, 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ პუნქტის შესაბამისად,

მუხლი 1. დამტკიცდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის შემდეგი სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამები:

1. საჩუქრებისა და პრიზების შექმნის პროგრამა დანართი №1-ის შესაბამისად;
2. ახალგაზრდული პროექტების თანადაფინანსების პროგრამა დანართი №2-ის შესაბამისად.
3. სასკოლო სპორტული ოლიმპიადის და სპორტი ბარიერების გარეშე ჩატარების პროგრამა დანართი N3-ის შესაბამისად.
4. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდების საზოგადოებაში ინტეგრაციის პროგრამა დანართი N4 -ის შესაბამისად;
5. ახალგაზრდული სპორტული ტურნირების მხარდაჭერის პროგრამა დანართი N5-ის შესაბამისად.
6. სხვადასხვა ღონისძიებებზე სპორტსმენებისა და ახალგაზრდების ტრანსპორტირების პროგრამა დანართი N6-ის შესაბამისად.
7. წარმატებული სპორტსმენებისა და მწვრთნელების წახალისების პროგრამა დანართი N7 შესაბამისად;
8. შემოქმედთა წახალისების პროგრამა დანართი №8-ის შესაბამისად;
9. ტრანსპორტირებით დახმარების პროგრამა დანართი №9-ის შესაბამისად;
10. კულტურულ-საგანმანათლებლო და შემეცნებითი პროექტების თანადაფინანსების პროგრამა დანართი №10-ის შესაბამისად;
11. სოც-კულტურული ღონისძიებების ორგანიზების პროგრამა დანართი №11-ის შესაბამისად.

მუხლი 2. ამ განკარგულების ამოქმედების დღიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N84 განკარგულება.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე, ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 4. განკარგულება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გაერცვლდეს 2018 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

ბესიკ ტაბიძე



საკრებულოს თავმჯდომარე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

საჩუქრების და პრიზების შეძენის პროგრამა

1. პროგრამის განმახორციელებელი:

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური.

2. პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანია სხვადასხვა სახის ღონისძიებებზე და სადღესასწაულო დღეებზე ლანჩხუთელი სპორტსმენებისა და ახალგაზრდების წარმატების წახალისება სხვადასხვა პრიზითა თუ ფასიანი საჩუქრით.

3. პროგრამის ამოცანა:

პროგრამის ამოცანაა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის სპორტულ და ახალგაზრდულ ღონისძიებებში ჩართულობისათვის მოტივაციის გაზრდა.

4. პროგრამის დაფინანსება:

პროგრამის დაფინანსება ხორციელდება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებულ ასიგნებათა ფარგლებში. პროგრამა ხორციელდება ერთი საბიუჯეტო წლის განმავლობაში და მის დასაფინანსებლად გათვალისწინებული თანხის ოდენობა განისაზღვრება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ასიგნებების შესაბამისად.

5. მოსალოდნელი შედეგი:

ამ პროგრამის ფარგლებში მიმდინარე წელს შესაძლებელი იქნება 200-ზე მეტი ლანჩხუთელი ახალგაზრდისა და სპორტსმენის წახალისება სხვადასხვა პრიზითა თუ ფასიანი საჩუქრით.

6. პროგრამის დაფინანსების გაცემის წესი:

პროგრამის დასაფინანსებლად თანხის გაცემა განხორციელდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესაბამისი ასიგნებიდან.

ახალგაზრდული პროექტების თანადაფინანსების პროგრამა

1. პროგრამის განმახორციელებელი:

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური.

2. პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდების მიერ წარმოდგენილი სხვადასხვა პროექტის ფინანსური მხარდაჭერა თანადაფინანსებით.

3. პროგრამის ამოცანა:

პროგრამის ამოცანაა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის საინტერესო ინიციატივების მხარდაჭერა.

4. პროგრამის დაფინანსება:

პროგრამის დაფინანსება ხორციელდება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებულ ასიგნებათა ფარგლებში. პროგრამა ხორციელდება ერთი საბიუჯეტო წლის განმავლობაში და მის დასაფინანსებლად გათვალისწინებული თანხის ოდენობა განისაზღვრება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ასიგნებების შესაბამისად.

5. მოსალოდნელი შედეგი:

ამ პროგრამის ფარგლებში მიმდინარე წელს შესაძლებელი იქნება დახმარება გავუწიოთ ახალგაზრდებს სხვადასხვა პროექტების განხორციელებაში.

6. პროგრამის დაფინანსების გაცემის წესი:

პროგრამის დასაფინანსებლად თანხის გაცემა განხორციელდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესაბამისი ასიგნებიდან.

07. 

სასკოლო სპორტული ოლიმპიადის და სპორტი ბარიერების გარეშე ჩატარების პროგრამა

1. პროგრამის განმახორციელებელი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური.

2. პროგრამის მიზანი:

მოსწავლე ახალგაზრდობის სპორტში მასობრივი ჩართვა და სასკოლო სპორტის განვითარების ხელშეწყობა, მოზარდ თაობაში და საზოგადოებაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება.

3. პროგრამის ამოცანა:

პროგრამის ამოცანაა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მუდმივმოქმედი და სრულმასშტაბიანი საშეჯიბრო სისტემის პრაქტიკული დანერგვა და მისი ფუნქციონირების უზრუნველყოფა.

4. პროგრამის დაფინანსება:

პროგრამის დაფინანსება ხორციელდება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებულ ასიგნებათა ფარგლებში. პროგრამა ხორციელდება ერთი საბიუჯეტო წლის განმავლობაში და მის დასაფინანსებლად გათვალისწინებული თანხის ოდენობა განისაზღვრება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ასიგნებების შესაბამისად.

5. მოსალოდნელი შედეგი:

ამ პროგრამის განხორციელების ფარგლებში შესაძლებლობა გვექნება სპორტის სხვადასხვა სახეობებში მასიურად ჩავართოთ მუნიციპალიტეტის 10-დან 16 წლამდე ასაკის მოსწავლეები, რომლებიც წარმატების მიღწევის შემთხვევაში მონაწილეობას მიიღებენ რეგიონულ და რესპუბლიკურ სასკოლო სპორტულ ტურნირებში.

6. პროგრამის დაფინანსების გაცემის წესი:

პროგრამის დასაფინანსებლად თანხის გაცემა განხორციელდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესაბამისი ასიგნებიდან.

თ. თეთაძე

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდების საზოგადოებაში ინტეგრაციის პროგრამა

1. პროგრამის განმახორციელებელი:

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური.

2. პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდების საზოგადოებაში ინტეგრაცია, მათში სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, ნიჭიერი ახალგაზრდების მოტივირება, არაფორმალური განათლების მიღება, სპეციალური გადამზადება და შემეცნებითი აქტივობები.

3. პროგრამის ამოცანა:

პროგრამის ამოცანაა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდების საზოგადოებაში ინტეგრაცია და მათი მოტივირება გახდნენ საზოგადოების სრულფასოვანი წევრები.

4. პროგრამის დაფინანსება:

პროგრამის დაფინანსება ხორციელდება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებულ ასიგნებათა ფარგლებში. პროგრამა ხორციელდება ერთი საბიუჯეტო წლის განმავლობაში და მის დასაფინანსებლად გათვალისწინებული თანხის ოდენობა განისაზღვრება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ასიგნებების შესაბამისად.

5. მოსალოდნელი შედეგი:

ამ პროგრამის ფარგლებში მიმდინარე წელს შესაძლებელი იქნება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდებში ნიჭიერი პირების გამოვლენა და მათი წახალისება.

6. პროგრამის დაფინანსების გაცემის წესი:

პროგრამის დასაფინანსებლად თანხის გაცემა განხორციელდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესაბამისი ასიგნებიდან.

ახალგაზრდული სპორტული ტურნირების მხარდაჭერის პროგრამა

1. პროგრამის განმახორციელებელი:

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური.

2. პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია ყველა ტერიტორიულ ერთეულში ტრადიციული ტურნირების ჩასატარებლად ფეხბურთის, ფრენბურთის, ხელბურთის ბურთებითა და შესაბამისი ინვენტარით უზრუნველყოფა.

3. პროგრამის ამოცანა:

პროგრამის ამოცანაა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ხელშეწყობა და სპორტულ ღონისძიებებში ჩართულობისათვის მოტივაციის გაზრდა.

4. პროგრამის დაფინანსება

პროგრამის დაფინანსება ხორციელდება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებულ ასიგნებათა ფარგლებში. პროგრამა ხორციელდება ერთი საბიუჯეტო წლის განმავლობაში და მის დასაფინანსებლად გათვალისწინებული თანხის ოდენობა განისაზღვრება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ასიგნებების შესაბამისად.

5. მოსალოდნელი შედეგი:

ამ პროგრამის ფარგლებში მიმდინარე წელს შესაძლებელი იქნება შეძენილ იქნას ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში საზაფხულო ტურნირების გამართვისთვის საჭირო აუცილებელი სპორტული ინვენტარი.

6. პროგრამის დაფინანსების გაცემის წესი:

პროგრამის დასაფინანსებლად თანხის გაცემა განხორციელდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესაბამისი ასიგნებიდან.

თ. ფაქიძე

სხვადასხვა ღონისძიებებზე სპორტსმენებისა და ახალგაზრდების ტრანსპორტირების პროგრამა

1. პროგრამის განმახორციელებელი:

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური.

2. პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანია სხვადასხვა სახის ღონისძიებებზე ლანჩხუთელი სპორტსმენებისა და ახალგაზრდობის ტრანსპორტირებით ხელშეწყობა.

3. პროგრამის ამოცანა:

პროგრამის ამოცანაა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტსმენებისა და ახალგაზრდების სხვადასხვა სახის სპორტულ და ახალგაზრდულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება.

4. პროგრამის დაფინანსება:

პროგრამის დაფინანსება ხორციელდება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებულ ასიგნებათა ფარგლებში. პროგრამა ხორციელდება ერთი საბიუჯეტო წლის განმავლობაში და მის დასაფინანსებლად გათვალისწინებული თანხის ოდენობა განისაზღვრება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ასიგნებების შესაბამისად.

5. მოსალოდნელი შედეგი:

ამ პროგრამის ფარგლებში მიმდინარე წელს საშუალება გვექნება 1 000-მდე მოსწავლეს, ახალგაზრდას და სპორტსმენს ტრანსპორტირებით დახმარება გავუწიოთ სხვადასხვა ღონისძიებებზე დასასწრებად.

6. პროგრამის დაფინანსების გაცემის წესი:

პროგრამის დასაფინანსებლად თანხის გაცემა განხორციელდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესაბამისი ასიგნებიდან.

თ. ფიჩხვაძე

წარმატებული სპორტსმენების და მწვრთნელების წახალისების პროგრამა

1. პროგრამის განმახორციელებელი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური.

2. პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანია ყველა წარმატებული სპორტსმენის და მწვრთნელის წახალისება ფულადი ჯილდოთი, რაც ხელს შეუწყობს სპორტის, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, ახალგაზრდა სპორტსმენებში მოტივაციის გაზრდას.

3. პროგრამის ამოცანა:

პროგრამის ამოცანაა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში არსებულ სპორტული ორგანიზაციების მწვრთნელების და სპორტსმენების მოტივირება, იყენენ უფრო წარმატებულები.

4. პროგრამის დაფინანსება:

პროგრამის დაფინანსება ხორციელდება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებულ ასიგნებათა ფარგლებში. პროგრამა ხორციელდება ერთი საბიუჯეტო წლის განმავლობაში და მის დასაფინანსებლად გათვალისწინებული თანხის ოდენობა განისაზღვრება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ასიგნებების შესაბამისად.

5. პროგრამის დაფინანსების გაცემის წესი:

პროგრამის დასაფინანსებლად თანხის გაცემა განხორციელდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესაბამისი ასიგნებიდან.

თ. შვიციანი

შემოქმედთა წახალისების პროგრამა

1. პროგრამის განმახორციელებელი:

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური.

2. პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანია სხვადასხვა სახის კულტურულ-საგანმანათლებლო და შემეცნებით ღონისძიებებზე და სადღესასწაულო დღეებზე მოსწავლე-ახალგაზრდებისა და შემოქმედთა წარმატებების წახალისება, მათ შორის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული იმ ახალგაზრდებისა, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების გათვალისწინებით მიიღებენ სახელმწიფო 100% დაფინანსებას. ასევე, წარმატებული ახალგაზრდების წახალისება ფულადი ჯილდოთი, სხვადასხვა პრიზითა თუ ფასიანი საჩუქრით.

3. პროგრამის ამოცანა:

პროგრამის ამოცანაა მოქალაქეთა კულტურულ-საგანმანათლებლო და შეცნებით ღონისძიებებში ჩართულობის გაზრდა.

4. პროგრამის დაფინანსება:

პროგრამის დაფინანსება ხორციელდება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებულ ასიგნებათა ფარგლებში. პროგრამა ხორციელდება ერთი საბიუჯეტო წლის განმავლობაში და მის დასაფინანსებლად გათვალისწინებული თანხის ოდენობა განისაზღვრება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ასიგნებების შესაბამისად.

5. მოსალოდნელი შედეგი:

პროგრამის ფარგლებში მიმდინარე წელს შესაძლებელი იქნება შემოქმედი ადამიანების და წარმატებული ახალგაზრდების წახალისება სხვადასხვა პრიზითა თუ ფასიანი საჩუქრით.

6. პროგრამის დაფინანსების გაცემის წესი:

პროგრამის დასაფინანსებლად თანხის გაცემა განხორციელდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამების დაფინანსების წესის შესახებ“ დადგენილების შესაბამისად.

თ. ფიციქო

ტრანსპორტირებით დახმარების პროგრამა

1. პროგრამის განმახორციელებელი:

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური.

2. პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანია კულტურულ და საგანმანათლებლო სფეროში მოღვაწე ადამიანების კულტურულ-საგანმანათლებლო და შემეცნებით ღონისძიებებში მონაწილეობის ხელშეწყობა.

3. პროგრამის ამოცანა:

პროგრამის ამოცანაა მოქალაქეთა კულტურულ-საგანმანათლებლო და შემეცნებით ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება.

4. პროგრამის დაფინანსება:

პროგრამის დაფინანსება ხორციელდება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებულ ასიგნებათა ფარგლებში. პროგრამა ხორციელდება ერთი საბიუჯეტო წლის განმავლობაში და მის დასაფინანსებლად გათვალისწინებული თანხის ოდენობა განისაზღვრება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ასიგნებების შესაბამისად.

5. მოსალოდნელი შედეგი:

პროგრამის ფარგლებში მიმდინარე წელს შესაძლებელი იქნება მოქალაქეთა ტრანსპორტირებით დახმარების გაწევა სხვადასხვა ღონისძიებებზე დასასწრებად და მონაწილეობის მისაღებად.

6. პროგრამის დაფინანსების გაცემის წესი:

პროგრამის დასაფინანსებლად თანხის გაცემა განხორციელდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამების დაფინანსების წესის შესახებ“ დადგენილების შესაბამისად.

თ. თვალაძე

კულტურულ-საგანმანათლებლო და შემეცნებითი პროექტების თანადაფინანსების პროგრამა

1. პროგრამის განმახორციელებელი:

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური.

2. პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანია მოქალაქეთა კულტურულ-საგანმანათლებლო და შემეცნებითი პროექტების განხორციელების ხელშეწყობა თანადაფინანსების გზით.

3. პროგრამის ამოცანა:

პროგრამის ამოცანაა მოქალაქეთა კულტურულ-საგანმანათლებლო და შეცნებითი პროექტების თანადაფინანსება.

4. პროგრამის დაფინანსება:

პროგრამის დაფინანსება ხორციელდება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებულ ასიგნებათა ფარგლებში. პროგრამა ხორციელდება ერთი საბიუჯეტო წლის განმავლობაში და მის დასაფინანსებლად გათვალისწინებული თანხის ოდენობა განისაზღვრება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ასიგნებების შესაბამისად.

5. მოსალოდნელი შედეგი:

პროგრამის ფარგლებში მიმდინარე წელს შესაძლებელი იქნება პოპულარიზაცია გავუწიოთ და მოვიზიდოთ საინტერესო პროექტები.

6. პროგრამის დაფინანსების გაცემის წესი:

პროგრამის დასაფინანსებლად თანხის გაცემა განხორციელდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამების დაფინანსების წესის შესახებ“ დადგენილების შესაბამისად.

წმ. მჭედია

სოც-კულტურული ღონისძიებების ორგანიზების პროგრამა

1. პროგრამის განმახორციელებელი:

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური.

2. პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ სხვადასხვა ღირსშესანიშნავი თარიღის აღსანიშნავი ღონისძიებების გამართვა.

3. პროგრამის ამოცანა:

პროგრამის ამოცანაა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მასობრივი ღონისძიებების ორგანიზება.

4. პროგრამის დაფინანსება:

პროგრამის დაფინანსება ხორციელდება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებულ ასიგნებათა ფარგლებში. პროგრამა ხორციელდება ერთი საბიუჯეტო წლის განმავლობაში და მის დასაფინანსებლად გათვალისწინებული თანხის ოდენობა განისაზღვრება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ასიგნებების შესაბამისად.

5. მოსალოდნელი შედეგი:

პროგრამის ფარგლებში შესაძლებელი იქნება მიმდინარე წელს სადღესასწაულო დღეების აღნიშვნა, რაც გათვლილია მოსახლეობისა და სტუმრების დიდ რაოდენობაზე.

6. პროგრამის დაფინანსების გაცემის წესი

პროგრამის დასაფინანსებლად თანხის გაცემა განხორციელდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამების დაფინანსების წესის შესახებ“ დადგენილების შესაბამისად.

